თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. თერჯოლა

16 აგვისტო 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის წევრი დავით გოგბერაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ნინო მახათაძე, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. რამინი რობაქიძე, 6. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. გიორგი ბარათაშვილი, 3. კობა კირკიტაძე, 4. როლანდი მესხი, 5. მანუჩარ ფანჩულიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282322756, 15.08.2023 წ.);

მომხს.: ა.ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 590.0 ათასი ლარით და შეადგენს 28911.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი, სხვა შემოსავლები გაიზარდა 590.0 ათასი ლარით. (დასუფთავების მოსაკრებელი გაიზარდა 100.0 ათასი ლარით და ჯარიმები, სანქციები და საურავები გაიზარდა 490.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 590,0.0 ათასი ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის,

რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის დაფინანსება გაიზარდა 165.0 ათასი ლარით. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 250.0 ათასი ლარით. სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის დაფინანსება გაიზარდა 95.0 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით რელიგიური საქმიანობა გაიზარდა 15.0 ათასი ლარით და სოციალური დაცვა გაიზარდა 40.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა, გოჩა ვერულაშვილმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარის

მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი